ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7173734

ნომერი: AR11052301

თარიღი : 08.08.2024

გაცემის თარიღი : 09.08.2024

გაცნობის თარიღი : 10.08.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ქიზიყის ქუჩა, N 63;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ გოგეშვილი პ/ნ 01011076175
- ნუცუბიძის 217

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 11 აპრილის №6977628 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 08 აგვისტოს №AR11052301 განცხადებით მომართა ნიკოლოზ გოგეშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 11

აპრილის №6977628 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 11 აპრილის №6977628 ბრძანებით №01.19.24.007.108 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა საწყობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 11 აპრილიდან 2025 წლის 26 თებერვლის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად. განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2024 წლის 11 აპრილის №6977628 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, ბრძანებაში მშენებლობის ეტაპები არ ფიქსირდება შეთანხმებული კალენდარული გრაფიკის შესაბამისად და ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 11 აპრილის №6977628 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მეოთხე პუნქტში ტექნიკური შეცდომის შედეგად არასწორად დაფიქსირდა 2023 წლის 21 ნოემბრის №AR11002085 განცხადებაზე წარმოდგენილი, სამსახურის მიერ შეთანხმებული კალენდარული გრაფიკით გათვალისწინებული მშენებლობის ეტაპები.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 11 აპრილის №6977628 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 11 აპრილის №6977628 ბრძანებაში და ბრძანების მეოთხე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „4. მშენებლობის ეტაპები განისაზღვროს შემდეგნაირად: 4) შენობის საინჟინრო ქსელების მოწყობა; შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები; 5) მიშენების საძირკვლის მოწყობა ძირითადი კონსტრუქციული ელემენტების მოწყობა შეენობის 0.00 ნიშნულამდე; 6) მიშენების გადახურვის მოწყობა და მოპირკეთება; 7) ტერიტორიის კეთილმოწყობა (გრუნტის მცირე სამუშაოები საჭიროების შემთხვევაში), სამშენებლო ნაგავის გატანა.“
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 11 აპრილის №6977628 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 11 აპრილის №6977628 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.